



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2036
18/12/2018

ქალაქი ბათუმი

2036-05-4-201812181127



ჯუმბერ ვარდმანიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერისა და ზურაბ კაჭახმაძის - მერიის მძღოლის ქ. თბილისში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი 2018 წლის 12 დეკემბრის №16690/05 კორესპოდენციის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. მე, ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი და ზურაბ კაჭახმაძე - მერიის მძღოლი, მივლინებული ვართ ქალაქ თბილისში, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის დაფუძნებიდან 15 წლის იუბილეზე, ქ.თბილისის საკრებულოში, 2018 წლის 19 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით.

2. ქალაქ თბილისში გადაადგილება მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებრივი ავტომანქანა „მიცუბიში“ L200 სახელმწიფო ნომრით NG-051-NA და გამოიყოს 130 ლიტრი საწვავი.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულმა სამსახურმა (მ. ბახტაძე) უზრუნველყონ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება და საწვავის გამოყოფა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

